

დანართი N1

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ 2021 წელს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მუსიკის (საეკლესიო მუსიკა, ეთნომუსიკოლოგია) სპეციალობის საუკეთესო სტუდენტებისათვის დააწესა ედიშერ და გიორგი (გიგი) გარაყანიძეების სახელობის ყოველწლიური სტიპენდია 1000 ლარის ოდენობით.

სტიპენდია გადაეცემა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებიდან ერთ საუკეთესო სტუდენტს, რომელსაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება და აქტიური სამეცნიერო ცხოვრება.

სტიპენდიის მიღების მსურველებმა (ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანატში უნდა გამოაგზავნონ :

ბოლო ერთი წლის (2020-21 სასწავლო წელი) აკადემიური მოსწრებისა და სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელ საბუთები:

1. აკადემიური მოსწრების საბუთი (ნიშნები) გაიცემა კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანატში
2. სამეცნიერო აქტივობის ჩამონათვალი
3. სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელი საბუთების ქსეროასლები - გამოქვეყნებული სტატიები, ჟურნალ-გაზეთების სატიტულო გვერდების ქსეროასლები, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის დამადასტურებელი პროგრამები, ექსპედიციების ხელმძღვანელების წერილობითი დასტური მონაწილეობასთან დაკავშირებით.
გარდა ამისა გასათვალისწინებელია, რომ
4. კონკურსანტი სტუდენტი შესაძლებელი იყოს 2021 წლის კურსდამთავრებული, აქტიური ან შეჩერებული სტატუსით
5. შესაძლებელია სტუდენტს 2020-21 სასწავლო წლის განმავლობაში ქონდეს შეჩერებული სტატუსი და შესაბამისად შერჩევა მოხდეს მხოლოდ სამეცნიერო აქტივობით
6. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია წინა წლის/წლების სტიპენდიანტს

7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტს, თუ მას წინა წლის განმავლობაში ექონდა სამეცნიერო აქტივობა

საბუთებს განიხილავს კომისია და საუკეთესო მონაცემების მქონე სტუდენტს დაენიშნება ედიშერ და გიორგი გარაყანიძეების სახელობის სტიპენდია

საბუთები უნდა გადაიგზავნოს 2021 წლის 13-15 სექტემბერს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ელფოსტაზე compose-theory@tsc.edu.ge